ბიულეტენი

აჭარის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№3 (9) მარტი 2008 წელი

შიჭვინთის ტაძარი
(ვახტანგ ჯორჯიკიას კოლექციიდან)

დიმიტრი გულიას ხსოვნის საღამო

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“

21 თებერვალს საქართველოს მუსიკალური საზოგადოების დარბაზში ცნობილი აფხაზი პოეტის, საზოგადო მოღვაწის, აფხაზური ანბანის შემქმნელის დიმიტრი გულიას დაბადების დღე აღინიშნა. შეხვედრას ესწრებოდნენ ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები, აფხაზეთის დევნილი ინტელიგენცია. ამ დღის აღნიშვნის ტრადიციის აღდგენა 2005 წელს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის სვეტლანა ქეცბას (ამჟამად აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე) ინიციატივით აფხაზეთის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ ითავა. უკვე 2 წელია ამ საღამოს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი აწყობს. წელს შეხვედრა განსხვავებულ ფორმატში ჩატარდა. იგი თემატურად ისე მრავალმხრივი იყო, როგორც დ. გულიას ინტერესების სფერო. საღამო მიჰყავდა ცენტრის თავმჯდომარეს სვეტლანა ქეცბას:

„ – დიმიტრი გულიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის ისტორიისა და სულიერებისათვის. მის სახელს უკავშირდება აფხაზური მხატვრული ლიტერატურისა და კულტურის ჩამოყალიბება, აფხაზური ანბანის შექმნა. 1912 წლიდან, როდესაც გამოსცა პირველი აფხაზური ლექსების კრებული, ცდილობდა გარკვეულიყო საკუთარი ხალხის ისტორიის წარმომავლობაში, ჩაწვდომოდა თავისი ერის კულტურის თავისებურებას. შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიო კულტურის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორიცაა კონსტანტინე სიმონოვი, კორნელი ზელინსკი, მირზა იბრაჰიმოვი, მარტიროს სარიანი, ლუი არაგონი, შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, რასულ გამზათოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი და სხვები, მაღალი შეფასება მისცეს აფხაზეთის სახალხო პოეტის მოღვაწეობას.

პირადად ჩემთვის დიმიტრი გულია არის პიროვნება, რომელიც მთელი ცხოვრება აფხაზი და ქართველი ხალხის ერთობისაკენ ისწრაფოდა და დღეს, ჩვენი ისტორიისათვის ამ მძიმე პერიოდში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეგობრობისა და ძმობის ის მოწოდება, რითაც გამსჭვალულია მთელი მისი შემოქმედება. იგი არა მარტო მხატვრული, დიდი კაცთმოყვარეობითი ფასეულობაცაა. როგორც ცნობილია, მან თარგმნა აფხაზურ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ და დარიგება „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, სამოქმედო, მისაბაძ მაგალითად აქცია“.

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს სახალხო არტისტმა, გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა დიმიტრი ჯაიანმა მსმენელებს აუწყა საინტერესო ინფორმაცია, რომ თეატრი უკრაინაში წარმატებული გასტროლების შემდეგ მიემგზავრება სანკტ-პეტერბურგში, სადაც წარმოადგენს სპექტაკლს „ზღვა, რომელიც შორია“. საგასტროლო სპექტაკლი მიმოიხილა ცნობილმა თეატრმცოდნე ნათელა არველაძემ:

„ – გურამ ოდიშარიას პიესა „ზღვა, რომელიც შორია“ ინტელექტუალური დრამის პრინციპებითაა აგებული, – თქვა ქალბატონმა ნათელამ, – სპექტაკლშიც პოზიციათა დაპირისპირების პროცესია გამოკვეთილი რეჟისორ თემურ ჩხეიძის მიერ. ორი მეგობარი, ახლა კი მტრად გადაკიდებული ორი მხარე, ურთიერთბრალდებით ცდილობს ჩაუღრმავდეს კონფლიქტის მიზეზებს. სცენაზე ამბავი ვითარდება: ქართველი – მამის საფლავის ძიებაშია, მას მეგობარი აფხაზი ეხმარება, სანახაობა დაფუძნებულია ძებნასა და მეგობრობაზე. ძებნა, როგორც მოქმედება, დინამიკა და სვლა, საფლავი, როგორც ფესვები, მეგობრობა კი როგორც რაინდობის ინსტიტუტის უმთავრესი ნიშანი, სწორედ ფესვების ძიება და ქართველთა შინაგანი კონსტიტუციური თვისება – მიმტევებლობა და მეგობრის ერთგულება არის მასალა იმ ხიდის აგებისათვის, რომელმაც უნდა დააკავშიროს ორი დაპირისპირებული მხარე. ამაზეა აგებული სანახაობა. დამდგმელი გუნდის მზერა ქართველთა და აფხაზთა მომავალ ურთიერთობაზეა მიჯაჭვული, პერსონიფიცირებულია დაპირისპირებული მხარე ორი მეგობრის სახით. მათი ურთიერთობის პერსპექტივაზეა გამახვილებული ყურადღება. ორი ნიჭიერი მსახიობის – დიმიტრი ჯაიანისა და მერაბ ბრეკაშვილის შესრულება, სიუჟეტური გადაწყვეტა, ამ კონფლიქტის მთავარ საშუალებას მიუთითებს. ორ მხარეს შორის ურთიერთნდობის მოპოვება, და ამდენად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ ორივე მხარის მეხსიერებაზე, ფესვების ერთგულებაზე და ურთიერთისკენ სავალი გზის ძიებაზეა დამოკიდებული. და ეს მხოლოდ ქართველთა და აფხაზთა ნებით უნდა მოხდეს.

ქართველთა და აფხაზთა ისტორია – ეს საქართველოს ისტორიაა. ჩვენ თუ ამ ფესვებს გადავჭრით, მაშინ მრავალსაუკუნოვან ათასწლეულ ისტორიაზე ვამბობთ უარს... გულიას ცხოვრება და შემოქმედება კი სიმბოლოა იმისა, თუ როგორ უნდა წარიმართოს კულტურული ცხოვრება ამ ორ მხარეს შორის“.

საღამოზე მოხდა ქართული და აფხაზური ხალხური სიმღერების XX საუკუნის 30-იანი წლების უნიკალური ჩანაწერების კომპაქტ-დისკების პრეზენტაცია, რომელშიც ჩაწერილია 10 უძველესი აფხაზური სიმღერა. იგი წარმოადგინა საქართველოს სახალხო არტისტმა, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ანზორ ერქომაიშვილმა:

„ – დღეს ჩვენ დიმიტრი გულიას დაბადების დღესთან დაკავშირებით შევიკრიბეთ. სიმბოლურია, რომ სიმღერების დისკის პრეზენტაცია ასეთი მრავალმხრივი მოღვაწის სახელს დაუკავშირდა. აქ ვხედავ აფხაზეთის ინტელიგენციას, რომელთან შეხვედრაც ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ამისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ საღამოს ორგანიზატორებს და ყოველთვის მზად ვარ თანამშრომლობისათვის.

კომპაქტ-დისკი მზადდებოდა ათეული წლების განმავლობაში. ვაგროვებდი სიმღერების ჩანაწერებს საბჭოთა კავშირის არქივებში. ამ სიმღერებს შორის მივაკვლიე 1930-იანი წლების აფხაზური სიმღერების იშვიათ ჩანაწერებს, შესრულებულს გამოჩენილი აფხაზი მომღერლების მიერ. პირველი ანსამბლი ჩამოყალიბდა 30-იან წლებში. მაშინ იქ მოღვაწეობდნენ შესანიშნავი ლოტბარები: კიწი გეგეჭკორი, პლატონ ფანცულაია, გალაქტიონ ჭელიძე და სხვ. საბედნიეროდ, მათ მიერ შესრულებულ სიმღერებს შორის შემორჩა უძველესი აფხაზური სიმღერები, რომლებიც საქაველოს მუსიკალური კულტურის მშვენებას წარმოადგენს. დისკი საბერძნეთში ბატონ ავთანდილ მიქაბერიძის მხარდაჭერით გამოვეცით და მიმაჩნია, რომ ეს თითქმის საუკუნის წინანდელი ჩანაწერები იშვიათ საგანძურს წარმოადგენს და მომავალი თაობებისათვის არაჩვეულებრივი შენაძენია. დისკს ახლავს ანოტაცია, რომელიც ქართული ფოლკლორის დიდმა მოამაგემ კუკური ჭოხონელიძემ შეადგინა“.

ბოლოს ბატონმა ანზორმა ყველა დამსწრეს საჩუქრად გადასცა კომპაქტ-დისკები.

დიდი მწერლის შემოქმედების უცნობ დეტალებზე ისაუბრა პროფესორმა ოთარ ჟორდანიამ.

დასასრულს სიტყვა ითხოვა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა შოთა გოგოხიამ. მან მსმენელებს გააცნო პირადი მოგონებები.

საღამომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აფხაზთა და ქართველთა მეგობრობა, მათი საერთო ფესვები, კულტურათა ერთობლიობა სწორედ ის სიმია, რომელიც, დიდი ტკივილის მიუხედავად, კვლავ აღადგენს უკეთურთა ძალისხმევით ჩატეხილ ძმობის ხიდს.

საინტერესო გამოფენა

28 თებერვალს გალერეა „კოპალაში“ საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა რუსეთის საელჩოსთან ერთად გახსნა დიდი რუსი მხატვრის ვასილი შუხაევის საიუბილეო გამოფენა. 29 თებერვალს ცენტრის ორგანიზებით გამოფენა დაათვალიერეს სოხუმის ალექსანდრე შერვაშიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტებმა და პედაგოგებმა. დათვალიერება მოეწყო მხატვარ-პედაგოგ ელენე ალანიას ახსნა-განმარტებებით. მან მოკლედ გააცნო სტუდენტებს დიდი მხატვრის, საქართველოს სამხატვრო აკადემიის პროფესორ ვ. შუახაევის ბიოგრაფია.

ელენე ალანია:

„ – შუხაევი 28 წელი მოღვაწეობდა საქართველოში. იგი იყო ნიჭიერი მხატვარი და დიდი პედაგოგი, რომელიც აქტიურად მუშაობდა სტუდენტებთან. შეიძლება ითქვას, რომ ხატავდა მათთვის, გამოფენებს აწყობდა მათთვისვე აკადემიაში. თავად ღრმად ჩაწვდა ხატწერის პრინციპებს.სწორედ ამ პრინციპებით შექმნა მან ნინო თუმანიშვილის პორტრეტი, რომელიც შესრულებულია ხეზე ზეთის ფერებით.

გამოფენების მონახულება ჩვენი სასწავლებლის სტუდენტებისათვის ჩვეულებრივი პროცესია, მაგრამ ასეთი საინტერესო გამოფენის ნახვამ მათზე, ვფიქრობ, დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. სურათების დათვალიერებისას ინფორმაციის მიწოდება მხატვრის ცხოვრებაზე უფრო ნაყოფიერია. მომავალშიც თუ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენების მონაწილეებს გაგვხდით, ჩვენი სტუდენტებისათვის ეს დიდი სიკეთე იქნება“.

გზა სულიერი სიმშვიდისაკენ

შემოქმედებითი ნიჭის მქონე ახალგაზრდების გამოვლენის, მათთვის პროფესიული განათლების მიცემის მიზნით სულიერებისა და კულტურის ცენტრში მუშაობა დაიწყო საეკლესიო ნაქარგობის შემსწავლელმა წრემ. აქ პედაგოგ ანა ბურდულის ხელმძღვანელობით დევნილი მოზარდები უფასოდ ეუფლებიან საინტერესო პროფესიას, რაც სულიერი სამყაროს გამდიდრებასთან ერთად მისცემს მათ მომავალში დასაქმების საშუალებას.

როგორია პედაგოგისა და მოსწავლეების მოსაზრება ამ საკითხზე? რამდენიმე მათგანს ვთხოვეთ აზრის გამოთქმა.

ანა ბურდული:

– ყველა მსურველთან მთელი მონდომებით ვმუშაობ, რათა შეისწავლონ ძველი საეკლესიო ნაქარგობის სხვადასხვა სახე, ტექნიკა. მუშაობა ლოცვითი განწყობით მიმდინარეობს. ორნამენტებში სჭარბობს ჯვრების მრავალფეროვანი გამოსახულებები, რაც ერთხელ კიდევ ახსენებს მოსწავლეებს ქრისტიანულ მოვალეობებს, ეროვნულ ფასეულობებს.

აუცილებელია გავიხსენოთ ძველი, ჩვენი წინაპრების მიერ შემონახული ხელსაქმე. ქართველები განთქმულნი იყვნენ თავიანთი რწმენით – ხელსაქმეებში აღბეჭდილი რწმენით. ძვ. წ. აღ-ის V საუკუნეში ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე წერდა, რომ კავკასიელი მთიელები იმდენად კარგად ხელსაქმობენ, ნაქარგის ფერი კი არ ხუნდება, შალთან ერთად ცვდებაო. ლეგენდარულად, ხელსაქმე ყველამ მიდიელებისაგან ისწავლა, თავად მიდიელებმა კი – მედეასაგან. თამარის ისტორიოსის ცნობით, დედოფალმა თავისი ხელით შეკერა და მოქარგა 12 მღვდლის შესამოსელი. და დღეს განა შეიძლება დავივიწყოთ ძველი ქართული ტრადიცია ნაქარგობისა, რომლითაც ასე ამაყობდა ჩვენი ერი.

მზად ვართ ყველა დაინტერესებულს შევასწავლოთ ხელსაქმე, შეექმნათ დიდი ნამუშევრები, მონაწილეობა მივიღოთ გამოფენა-გაყიდვებში.

თამარ ლაშხია, XI კლასი:

– ქარგვის დროს ვმშვიდდები, რადგან ეკლესიურ ცხოვრებას უკავშირდება და სულერად ამაღლებული ვარ. ჩემი მიზანია ბოლომდე მივყვე ამ ხელობას და მონაწილეობა მივიღო გამოფენა-გაყიდვებში. უღრმეს მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც ამის საშუალება მოგვცა.

სოფიო ტყებუჩავა, VII კლასი:

– მინდა უფრო მეტი ვიცოდე საეკლესიო ნაქარგობის შესახებ, წრეზეც ამიტომ დავდივარ. უკვე შევასრულე ჯვარი, ახლა მძივებით ვაფორმებ. ჩემს ნამუშევრებს გამოფენა-გაყიდვაზე გავიტან, აღებული თანხით კი კვლავ ქსოვილს, ძაფებსა და მძივებს ვიყიდი, რომ უკეთესი მოვქარგო...

ქეთევან კორძაია, VII კლასი:

– მსიამოვნებს ქარგვა, ძალიან მამშვიდებს. როგორც კი თავისუფალ დროს გამოვნახავ, მაშინვე საქარგავად ვჯდები. ძალიან მსურს, ჩემი ნამუშევრები გამოფენაზე გავიტანო, რათა ხალხმა ნახოს. მინდა, კიდევ ბევრი რამ ვისწავლო. დიდ მადლობას ვუხდი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელს, სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ სვეტლანა ქეცბას, ჩვენს პედაგოგს ანა ბურდულს და მამა ბიძინას, რომელთა კურთხევითა და მეშვეობითაც მოგვეცა შესაძლებლობა გვესწავლა ძველი ქართული ორნამენტები.

თეონა კორძაია, IX კლასი:

– ვსწავლობ საეკლესიო ნაქარგობას ჯვრული ტექნიკით. შევასრულე სამაჯურზე ორნამენტირებული ჯვრები, ასევე კედლის სურათი – ჯვარი, გამშვენებული მძივებით. ძალიან მინდა მონაწილეობა მივიღო გამოფენა-გაყიდვაში...

მართა დარციმელია, XI კლასი:

– ვსწავლობ ჯვრულ ქარგვას, ასევე ოქრომკედით. ადრეც თავისუფალ დროს სულ ვქარგავდი, მაგრამ კიდევ უფრო მეტი რომ მესწავლა, დავიწყე წრეზე სიარული. მინდა, საშუალება მომეცეს დიდი ნაქარგების შექმნისა და გამოფენებზე მათი გატანისა. ასევე, ძალიან მინდა თექის შესწავლა, რაც, სამწუხაროდ, დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ იმედია, ვინმე ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლებს...

უცნობი ფურცლები

დიმიტრი გულია: მასალები პედაგოგიური მოღვაწეობიდან



დიმიტრი გულია იმ მოღვაწეთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა სახელი მუდამ დარჩება მშობელი ხალხის მეხსიერებასა და ისტორიაში. მრავალმხრივი იყო მისი მოღვაწეობის სფერო. დიმიტრი გულია, უპირველეს ყოვლისა, იყო პოეტი. მშობელი ხალხის სულიერი სამყარო, მისი ფიქრები და ოცნებები, უნატიფესი გრძნობები დიმიტრი გულიამ პირველად აამეტყველა აფხაზურ ენაზე. სრულიად ახალგაზრდამ, თავის ქართველ პედაგოგთან და საზოგადო მოღვაწესთან, კონსტანტინე მაჭავარიანთან ერთად, შეადგინა აფხაზური ანბანი, რომლითაც, თითქმის ოცი წლის მანძილზე, თაობები ეუფლებოდნენ აფხაზურ ენას. მან დიდი წვლილი შეიტანა აფხაზური პროზისა და დრამატურგიის განვითარებაში, იყო აფხაზური თეატრის ფუძემდებელი და პირველი აფხაზური გაზეთის „აფსნის“ რედაქტორი.

დიმიტრი გულია რუდუნებით სწავლობდა აფხაზური ენის, აფხაზი ხალხის ყოფისა და ისტორიის საკითხებს. იგი პირველი აფხაზთაგანია, რომელიც 1924-1925 წლებში თბილისის უნივერსიტეტში დიდი ივანე ჯავახიშვილის მოწვევით ლექციებს უკითხავდა ქართველ სტუდენტებს აფხაზურ ენაში. მისი ეთნოგრაფიული ხასიათის გამოკვლევებს დღემდე არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება. მასვე ეკუთვნის პირველი განმაზოგადებელი ნაშრომი აფხაზეთის ისტორიაში.

დიმიტრი გულიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. აღსანიშნავია მ. დელბას, ხ. ბღაჟბას, კ. ზელინსკის, გ. გუბლიას, გ. ძიძარიას, ი. მეგრელიძის და სხვ. შრომები. დიმიტრი გულიასადმი მიძღვნილ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მისი შვილის, ცნობილი მწერლის გიორგი გულიას წიგნს „დიმიტრი გულია. მოთხრობა მამაჩემზე“ (მოსკოვი, 1965). დადებითი რეზონანსი ჰქონდა დიმიტრი გულიას თხზულებათა ექვსტომეულის გამოცემას. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს მისი მემკვიდრეობისადმი გაუნელებელ ინტერესზე. მიუხედავად ამისა, დიმიტრი გულიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბევრი ასპექტი, მათ შორის პედაგოგიური საქმიანობა, არ არის სათანადოდ შესწავლილი. ქვემოთ შევეცდებით ახალი დოკუმენტების საფუძველზე წარმოვაჩინოთ მისი მოღვაწეობის ეს მხარე.

ჯერ კიდევ 1916 წელს სოხუმის ოლქის სახალხო სასწავლებლების ინსპექტორი ანიკინი აღნიშნავდა, რომ მის უწყებას არ გააჩნდა მასალები დიმიტრი გულიას სამსახურეობრივი საქმიანობის შესახებ. ამ განცხადების ფონზე ინტერესს იწვევს უკანასკნელ დროს საქართველოს საისტორიო არქივში გამოვლენილი დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს დიმიტრი გულიას პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ. ირკვევა, რომ სრულიად ახალგაზრდას დიმიტრის პედაგოგიური საქმიანობა დაუწყია 1890 წლის 1 სექტემბერს გუმისთის უბანში, ეკატერინეს ერთკლასიან სკოლაში, სადაც 1911 წლის 12 სექტემბრამდე ასწავლიდა. 1904 წლის 1 მარტიდან 1905 წლის 1 სექტემბრამდე ის კვიტოულის, ხოლო 1905-1908 წლებში – კოდორის უბნის კინდღის ერთკლასიან სასწავლებლებში მუშაობდა. 1908 წლის 1 სექტემბრიდან დაინიშნა კოდორის უბნის ტამიშის ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველად.

1909 წელს დიმიტრი გულია მიავლინეს სოხუმის საეპარქიო სასწავლო საბჭოსთან არსებულ საეკლესიო და სხვა სახის წიგნების აფხაზურ ენაზე მთარგნელობით კომისიაში, სადაც მუშაობდა 1912 წლამდე. მან თავი გამოიჩინა როგორც კეთილსინდისერმა და გამოცდილმა მუშაკმა. 1912 წელს კომისიის საქმიანობის დაფინანსების შეწყვეტასთან დაკავშირებით დიმიტრი გულიას ძველ სამუშაო ადგილზე დაბრუნება შესთავაზეს. თავის მხრივ, დიმიტრი გულიამ თხოვნით მიმართა სათანადო უწყებებს, ოჯახური მდგომარეობის გამო, მიეცათ საშუალება ემუშავა აფხაზური ენის მასწავლებლად სოხუმის რომელიმე სასწავლებელში. ამ თხოვნას მხარს უჭერდნენ სოხუმის ეპისკოპოსი ანდრია და სოხუმის ოლქის (აფხაზეთი) განათლების მესვეურნი, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის პირად თვისებებსა და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1912 წლის 1 სექტემბერს დიმიტრი გულია აფხაზური ენის მასწავლებლად დაინიშნა სოხუმის ქალთა გიმნაზიაში, იმავე წლის 1 ოქტომბრიდან კი მიიწვიეს სოხუმის მთიელთა სკოლაში. 1913 წლის 1 ოქტომბერიდან დიმიტრი გულია აგრეთვე ასწავლის სოხუმის რეალურ სასწავლებელში. ყველა ამ თანამდებობაზე ის სახელშეკრულებო წესით მუშაობდა, ვინაიდან არ ჰქონდა განათლების სათანადო ცენზი საშუალო სკოლაში მასწავლებლის საშტატო თანამდებობის დასაკავებლად. ამიტომ იგი იღებდა მწირ ანაზღაურებას და მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდა. ასეთ პირობებში დიმიტრი გულია ცდილობს ჩააბაროს გამოცდა აფხაზური ენის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეაფერხა ამ საკითხის მოგვარება. მიუხედავად ამისა, იგი კვლავ აგრძელებდა პედაგოგიურ საქმიანობას და როგორც აფხაზური ენის ყველაზე კომპეტენტური სპეციალისტი, 1915 წელს მიწვეულ იქნა ახლადგახსნილ სოხუმის საოსტატო სემინარიაში.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი საშუალო სასწავლებლებში აფხაზური ენის მასწავლებლის საშტატო ერთეულის გამოყოფის შესახებ. ამ თანამდებობაზე დიმიტრი გულია უალტერნატივო კანდიდატურად განიხილებოდა. საკითხის დადებითად გადაწყვეტაში დიდი ამაგი მიუძღვის ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე გიორგობიანს, რომელიც 1917 წლის 1 ოქტომბერს სოხუმის საოსტატო სემინარიის დირექტორად დაინიშნა.

ალექსანდრე გიორგობიანი აქტიურად შეუდგა დიმიტრი გულიასათვის აფხაზური ენის მასწავლებლის შტატის გამოყოფისათვის ზრუნვას. დიმიტრი გულიას ბიოგრაფიის ეს მონაკვეთი შესწავლილი აქვს აფხაზ მკვლევარს ხუხუტ ბღაჟბას. ამიტომ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ქართული და აფხაზური

(გაგრძელება მე-6 გვ.)

დიმიტრი გულია: მასალები პედაგოგიური მოღვაწეობიდან

(დასაწყისი მე-5 გვ.)


7 апреля 1918 г. Экзаменаціонная работа и. о. преподавателя абхазскаго языка въ Сухумской Учительской семинаріи Дмитрія Іосифовича Гулія на право преподаванія абхазскаго языка въ среднихъ учебныхъ заведеніяхъ.

(Абхазскій народный эпосъ)

ინტელიგენციის ძალისხმევით სოხუმის საოსტატო სემინარიამ მიიღო ნებართვა გამოეცადათ დიმიტრი გულია საშუალო სასწავლებლის აფხაზური ენის მასწავლებლის წოდების მისაღებად. ეს გამოცდა შედგა 1918 წლის 7 აპრილს. საგამოცდო კომისიის წევრები იყვნენ სოხუმის საოსტატო სემინარიის დირექტორი ალექსანდრე გიორგობიანი, ამავე სემინარიის მასწავლებლები ს. აფანასიევი და ს. ჭანბა, აფხაზთა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების თავმჯდომარე ა. ჭოჭუა და ამავე საზოგადოების წევრები ს. ბასარია, ვ. ადლეიბა, ვ. გურჯუა. გამოცდა ჩატარდა ორ ეტაპად – წერითი და ზეპირი სახით. დიმიტრი გულიას წერითი ნამუშევარი თემაზე „აფხაზური სახალხო ეპოსი“ შესრულებულია აფხაზურ ენაზე და მოიცავს დიდი ფორმატის შვიდ გვერდზე მეტს. მას ერთვის ავტორის მიერვე დაწერილი საგამოცდო ნაშრომის „მოკლე შინაარსი“ რუსულ ენაზე. საგამოცდო ნაწერი ნათლად გვიჩვენებს დიმიტრი გულიას ღრმა განსწავლულობას აფხაზურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. დასახელებული ნაწერები დღემდე არ გამოქვეყნებულა. მათი პუბლიკაცია, ვფიქრობთ, დააინტერესებს როგორც აფხაზთმცოდნეებს, ასევე მკითხველ საზოგადოებას.

საგამოცდო კომისიამ დიმიტრი გულია, აგრეთვე, ზეპირად გამოსცადა აფხაზურ ენაში, აფხაზეთის ისტორიასა და გეოგრაფიაში. მისმა წერითმა ნამუშევარმა და ზეპირმა პასუხებმა კომისიის მაღალი შეფასება დაიმსახურეს. გამოცდის შედეგების საფუძველზე კომისიამ შუამდგომლობა აღძრა სასწავლო კომისარიატის წინაშე, რათა დიმიტრი გულიასათვის გამოეყოთ აფხაზური ენის მასწავლებლის საშტატო განაკვეთი. 1918 წლის 10 ივნისს კომისარიატმა დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა და 1918 წლის 1 სექტემბრიდან დიმიტრი გულია დაამტკიცა სოხუმის საოსტატო სემინარიის აფხაზური ენის მასწავლებლის საშტატო თანამდებობაზე.

ამრიგად, დიმიტრი გულიას მრავალწლიანი მცდელობა, მიეღო საშუალო დაწესებულებაში აფხაზური ენის სწავლების უფლება, წარმატებით დაგვირგვინდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან მეთხუთმეტე დღესვე.

ოთარ ჟორდანია

„პირველად იყო სიტყვა...“

„... ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე

ქართული პოეზიის მარგალიტები

ილია ჭავჭავაძე

ქართველის დედას

„აწმყო შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა“.
ლეიბნიცი

ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...
გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა
სრულად მოგვკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.
მითხარ, სადღაა მამაპაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?
მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მეოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
სახრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, –
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.
დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰქრნეს კვალი განათლებული.

„სიკვდილი ჩემი ეკუთვნის ღმერთის, ვიდრე – სამართლიანის, ვიდრე კი რომელ ვნებიდან ის ეკუთვნოთ“.

წმიდა მღვდელმთავარი
ამბროსი აღმსარებელი (ხელაია)
1924 წ. მარტი

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წლის იუბილესთან დაკავშირებით 2006 წელს აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით გამოიცა რამდენიმე საინტერესო ნაშრომი, მათ შორის „წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი“. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო პროფესორმა ჯემალ გამახარიამ. სარედაქციო საბჭო: დეკანოზი ბიძინა (გუნია), ელდარ ბუბულაშვილი, მაია გელანტია, სერგო ვარდოსანიძე, თეიმურაზ მჟავია, სერგი საჯაია, ანზორ სიჭინავა. წიგნში საინტერესო მასალებია თავმოყრილი წმიდა პატრიარქის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, აფხაზეთთან მისი კავშირის შესახებ. გასწორებულია მრავალი თარიღი და უზუსტობა, გამოქვეყნებულია ამბროსი აღმსარებლის დღემდე უცნობი წერილები: „О Сухумской епархии“, „Ответ Преосвященному Сергию“ და სხვ. საგულისხმოა, რომ წმიდა ამბროსი აღმსარებელი და მისი წინაპრები აფხაზეთის მკვიდრნი იყვნენ. მისი ბაბუა, მამა და ძმა მოღვაწეობდნენ ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში. XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე ხელაიები იყვნენ ილორის ეკლესიის წინამძღვრები. დოკუმენტთა დიდი უმეტესობა პირველად ქვეყნდება. კრებული განკუთვნილია როგორც ქართული სამღვდელოების, მეცნიერების, სასულიერო და საერო სასწავლებელთა სტუდენტების, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

> „თუ ახლანდელი ძალთა განწყობილება არ მოგვცემს საშუალებას ხმლით დაპყრობილი შავი ზღვის სანაპირო ადგილები შევინარჩუნოთ, – თუ ჩვენი შეუგნებლობა და მტერთა ძალმომრეობა წაგვართმევს იმ ადგილებს, რომლებიც ჩვენმა მამაცმა მხედრებმა მორწყეს უკვე სისხლით, – თუ ისტორიულ უფლებებით ახლა ვერ ვისარგებლებთ, მაშინ ამ მოკლე წერილს ის მიზანი მაინც შერჩეს, რომ მან გააღვიძოს ჩვენს ხალხში ისტორიულ უფლებათა შეგნება...“
>
> **ამბროსი აღმსარებელი (ხელაია)**
> **„საქართველოს ისტორიული საზღვარი შავი ზღვის მხრით“**
> **1918 წ.**

საეკლესიო კალენდარი

1 მარტი (შაბ.)	– ხორციელის შაბათი (მიცვალებულთა ხსენება);
2 მარტი (კვ.)	– ხორციელის კვირა. საშინელი სამსჯავროს ხსენება (ხორცით დაურწყება);
6 მარტი (ხუთშ.)	– ღირსი შიო მღვიმელის ხსენება (შიოობა);
	– ცხრა ყრმათა კოლაელთა ხსენება;
8 მარტი (შაბ.)	– წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პირველად (IVს.) და მეორედ (452წ.) პოვნა;
9 მარტი (კვ.)	– ყველიერის – მიტევების კვირა. სამოთხიდან ადამის განდევნის ხსენება;
15 მარტი (შაბ.)	– დიდმოწამე თეოდორე ტირონის ხსენება (306წ.);
16 მარტი (კვ.)	– დიდი მარხვის I კვირა. მართლმადიდებლობის ზეიმი;
19 მარტი (ოთხშ.)	– ხსენება მღვდელმოწამე დოსითეოზის (წერეთელი), ქუთათელი მიტროპოლიტისა;
22 მარტი (შაბ.)	– 40 მოწამეთა, სებასტიის ტბასა შინა წამებულთა ხსენება;
23 მარტი (კვ.)	– დიდი მარხვის II კვირა;
	– წმ. გრიგოლ პალამას (თესალონიკელ მთავარეპისკოპოსის) ხსენება;
25 მარტი (სამშ.)	– საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე (1917წ.)
	– წმ. მეფის დემეტრე თავდადებულის ხსენება (1289 წ.);
29 მარტი (შაბ.)	– წმ. ამბროსი აღმსარებლის (ხელაია, 1927წ.) ხსენება;
	– მიცვალებულთა ხსენება;
30 მარტი (კვ.)	– დიდი მარხვის III კვირა, ჯვრის თაყვანისცემის კვირა.
5 აპრილი (შაბ.)	– მიცვალებულთა ხსენება;
6 აპრილი (კვ.)	– დიდი მარხვის მე-4 კვირა;
	– ღირსი იოანე კლემაქსის ხსენება;
7 აპრილი (ორშ.)	– ხარება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა (ხსნილი თევზით);
8 აპრილი (სამშ.)	– კრება მთავარანგელოზ გაბრიელისა;
12 აპრილი (შაბ.)	– ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დაუჯდომელის გალობა;
13 აპრილი (კვ.)	– დიდი მარხვის მე-5 კვირა;
	– ღირსი მარიამ მეგვიპტელის ხსენება;
19 აპრილი (შაბ.)	– ლაზარეს შაბათი (მართალი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება);
	– ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ (ხსნილი თევზით);

საეკლესიო კალენდარი

20 აპრილი (კვ.)	– დიდი მარხვის მე-6 კვირა. ბზობის კვირა; – (იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში); – (ხსნილი თევზით);
24 აპრილი (ხუთშ.)	– დიდი ხუთშაბათი (საიდუმლო სერობის ხსენება);
25 აპრილი (პარ.)	– დიდი პარასკევი (ხსენება წმიდათა მაცხოვნებელთა ვნებათა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი) (მძიმე მარხვა);
27 აპრილი (კვ.)	– ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი;
28 აპრილი (ორშ.)	– ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი. ᲓᲘᲓᲣᲑᲝᲑᲐ; – საფლავთა კურთხევა;
29 აპრილი (სამშ.)	– ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი; – ივერიის ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული; – 6 000 დავითგარეჯელ მოწამეთა ხსენება (1616 წ.).

***შენიშვნა:** 21, 22 და 23 აპრილს (ანუ ვნების შვიდეულის ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს) ტაძრებში ოთხივე სახარების კითხვა აღესრულება.*

წმიდა მღვდელმთავარი ამბროსი აღმსარებელი (ხელაია)

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წმიდა ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია) დაიბადა 1861 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ მარტვილში. დაწყებითი განათლება სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მიიღო, შემდეგ სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ პერიოდში დაოჯახდა, 1887 წელს სოხუმის ეპისკოპოსისგან მღვდლად იკურთხა. მსახურობდა სოხუმში, ახალ ათონსა და ლიხნში. ებრძოდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას აფხაზეთში, პრესაში ილაშქრებდა იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც აფხაზებს ქართველთა სიძულვილს უნერგავდა. 1896 წელს დაქვრივდა.

მისი მეუღლე კესარია მერჩულე მშობიარობას გადაჰყვა. მამა ამბროსის დარჩა სამი შვილი, რომლებიც გვერდიდან არ მოუშორებია; თან ჰყავდა ყაზანში სწავლისას და გადასახლების დროსაც კი. ასეთი მზრუნველი მამა იყო და შემდგომ... ასეთივე პატრიარქი.

1897 წელს, 36 წლის ასაკში, მამა ამბროსი ყაზანის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. სწავლის დროს ბერად აღიკვეცა. დაწერა დისერტაცია თემაზე: „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“. 1902 წელს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს და ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. არქიმანდრიტმა ამბროსიმ დიდად იღვაწა ჭელიშის მონასტრის აღორძინებისათვის. აქ აღმოაჩინა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ე.წ. ჭელიშური ხელნაწერი, აგრეთვე წმიდა სახარება, შემდგომში „ჭელიშის ოთხთავის“ სახელით ცნობილი. აი, ერთი იმდროინდელი ჩანაწერი: „მამა ამბროსი – სულ წელიწადი არ არის, რაც აქ წინამძღვრად გამოამწესეს, მაგრამ ღვთისა და კაცის მოყვარე ადამიანისთვის ეს დროც საკმაო ყოფილა, რომ წრფელი გულით შეეყვარებინა ხალხს. „ღვთის ენა-პირი ასხიაო“, – ამბობდნენ იქაურები. „ჯერ მაგისთანა არავინ მოსულა და არც მაგ დალოცვილისთანა ქადაგება გაგვიგონიაო“. 1904 წელს არქიმანდრიტი ამბროსი თბილისში სინოდური კანტორის წევრად და ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. იგი იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ამისთვის 1905 წელს რუსეთში გადაასახლეს, 1908 წელს ახალი ბრალდება წაუყენეს, თითქოს ეგზარქოს ნიკონის სიკვდილში მიეღოს მონაწილეობა. 1911 წელს გაამართლეს, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის უფლება მაინც არ მისცეს.

გადის წლები და ყოველი მისი თხოვნა დაბრუნებაზე უპასუხოდ რჩება. ამასობაში საქართველოში ვრცელდება ხმები, რომ ამბროსი ხელაია მატერიალურად კარგად არის უზრუნველყოფილი და უბრალოდ, არ უნდა დაბრუნება. ამაზე გულისტკივილით წერს თავის წერილში „ჩემი ექსორიანი“. „ზოგიერთნი მთვლიან მე ბედნიერად, რომ მოვშორდი საქართველოს და ვითომ მატერიალურად კარგად მოვეწყვე. ამ წერილის დამწერთ ალბათ ჯერ არ გამოუცდიათ მარტოობა სულისა, – არ გამოუცდიათ ის სიმწვავე, რასაც განიცდის სამშობლოდან გადახვეწილი, თუ კი გადაგვარების გზაზე არ არის დამდგარი და გული შესტკივა სამშობლოს მდგომარეობაზე“.

1917 წელს წმიდანი საქართველოში ბრუნდება. მას ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ კი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად აკურთხებენ. 1921 წლის 14 ოქტომბერს მიტროპოლიტი ამბროსი სრულიად საქრთველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს.

საქართველოს გასაბჭოებიდან რამდენიმე თვეა გასული. ეკლესიის დევნის, ქართული ენის უფლებების შეზღუდვისა და ისტორიული მიწების სხვათა განკარგულებაში გადაცემის გამო, იგი აგზავნის დოკუმენტებს ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციაში – უშედეგოდ. 1922 წელს აგზავნის მოწოდებას გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე. „ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, უბილწავენ ეროვნულ კულტურას, დასასრულს, მას უბღალავენ წმიდათაწმიდას, სარწმუნოებრივ გრძნობას“, – ამბობს კათოლიკოსი მემორანდუმში და ქართველი ერის სახელით საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანასა და რეფერენდუმის მოწყობას ითხოვს. კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო დაებრუნებინა ნედლეულით მდიდარი რუსეთი საერთაშორისო ბაზარზე, ასევე საბჭოთა რუსეთის მთავრობისათვის მოეთხოვა მეფის რუსეთის ვალები. ამიტომ საქართველოს გამო ისინი რუსეთს არ დაუპირისპირდნენ. პატრიარქის მიმართვა პოლიტიკური

(გაგრძელება მე-9 გვ.)

წმიდა ძალადობისა ამბროსი ალმსარებლობა (ბოლოს)

(დასაწყისი მე-8 გვ.)

რეაგირების გარეშე დარჩა. გაძლიერდა მისი დევნა. კათოლიკოს-პატრიარქსა და საკათალიკოსო საბჭოს 9 წევრს აპატიმრებენ. ბრალდება ოთხია: კონფერენციისადმი მემორანდუმის გაგზავნა, ეკლესია-მონასტრებში დაცული საგანძურის გადამალვა, საეკლესიო ქონების საადრიცხვო წიგნების არასწორი წარმოება და სამხედრო ტაძრის (რომელიც დღევანდელი მთავრობის სასახლის ტერიტორიაზე იყო) კომკავშირისადმი გადაცემის პროცედურაში საპატრიარქოს წარმომადგენლის გამოუცხადებლობა.

გთავაზობთ რამდენიმე ამონაწერს სასამართლო სხდომების ოქმებიდან:

თავმჯდომარე: – მემორანდუმში ნათქვამი გაქვთ, რომ ქართველ ხალხს ართმევენ მიწა-წყალს და ურიგებენ სხვა ერებს. დამისახელეთ, რა წაართვეს ხალხს და ვის რა გადასცეს!

ამბროსი: – არამც თუ მიწა-წყალი, ხალხიც გადაცემულია სხვა ერებზე. ეს დამტკიცდება მაშინ, როცა მოიტანთ საქართველოს რუქას. თუ ასეთი გზით დამტკიცება სასამართლოს შეხედულებით საჭირო არ არის – მაშინ გავჩუმდები.

პროკურორი ოკუჯავა: – დამისახელეთ, რომელი საბუთის ძალით წაერთვა საქართველოს დამოუკიდებლობა?

ამბროსი: – ინტერვენციით.

პროკურორი მაჭავარიანი: – რელიგიურია, თუ როგორი თქვენ მიერ გენიუს კონფერენციისადმი გაგზავნილი მემორანდუმი?

ამბროსი: რელიგიური. და თუ პოლიტიკური მიმართულება მიიღო, ეს გამოწვეულია არსებული მდგომარეობით.

პროკურორი მაჭავარიანი: – ტერიტორიის საკითხის შესახებ პოლიტიკურია თუ რელიგიური?

ამბროსი: – პოლიტიკურიც და რელიგიურიც, რადგან ტერიტორიის დაკარგვა დაკარგვაა ეკლესიისათვის.

პარარელურად გაზეთებში თითქმის ყოველდღე შუქდება სასამართლო პროცესი სათაურით „კათოლიკოს ამბროსის და მისი „ძმების“ (ბრჭყალებში) გასამართლება“ სადაც არაერთხელაა აღნიშნული: „ბრალდებულთა შემოყვანის დროს დარბაზში გაისმის ხმები: „ძირს ამბროსი“, „ძირს კონტრრევოლუცია“, „ზიზღი ამბროსის“.

სხდომები წყდება, რადგან მუშა-მოსამსახურეები იყრიან თავს გარეთ და გაიძახიან: მოგვეცით, ჩვენ გავასამართლებთ მუშა კლასის მოღალატეებსო. იწერება კადნიერი ლექსები, სტატიები. როდესაც პატრიარქი ტოვებს სასამართლო შენობას, საგანგებოდ მოწვეული კომკავშირელები მას კვერცხებს ესვრიან.

და ყოველივე ამის შემდეგ კათოლიკოსი ამბობს საბოლოო სიტყვას სასამართლოზე, სადაც ნიშან-წყალიც არ ჩანს ნანახი უმადურობისა.. პირიქით, ესაა სიტყვები ერის პატრიარქისა, რომელიც სიკვდილის საშიშროების წინაშეც იბრძვის, ზრუნავს და უყვარს:

„ნუთუ ჩემი გამოსვლის წინააღმდეგი იქნება ქართველი ერის მშრომელთა უმრავლესობა, რომლის ინტერესებისათვის მინდოდა შემეწირა ჩემი თავი, პირადი ინტერესები და კიდევაც შევწირე. არა, არ დავიჯერებ...“ და კვლავ: „გლეხობა, რომლის წინაპრების სისხლით მორწყული და ძვლებით გაპოხიერებულია სამშობლოს ველ-მინდვრები, ეს გლეხობა, მწამს, მუდამ იქნება თავისი სამშობლოს მოსიყვარულე და მისი თავისუფლების იდეის დამცველს არასოდეს არ შეიძულებს და არც გადაეკიდება“.

აი, კიდევ რამდენიმე ამონარიდი მისი საბოლოო სიტყვებიდან ძირითად ბრალდებებთან დაკავშირებით, რაც ეკლესიური აზროვნების ერთგვარ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს: „ჩვენ, ღვთისმსახურნი, ქრისტიანულ სწავლა-მოძღვრების მიხედვით, ვალდებულნი ვართ, დავემორჩილოთ „ხელმწიფებასა მას უმთავრესსა“ (ლაპარაკია მთავარობაზე), რადგან ხელმწიფებასა შინა მყოფნი „მსახურნი ღმრთისანი არიან“, მათთვის უნდა ვილოცოთ და მათთვის არ ვსთქვათ ბოროტი, მაგრამ ბოროტისა არა თქმა იმას არ ნიშნავს, რომ მათ მოქმედებას კრიტიკის თვალით არ შევხედოთ, მათი შეცდომები არ აღვნიშნოთ... და თუ ვხედავდი ეროვნული მოსპობის საშიშროებას, მოვალე ვიყავი ხმა ამომეღო“.

საეკლესიო განძის დამალვის ბრალდებაზე წერს: „მე ვმსახურებდი სოხუმში და ნივთების დამალვა მოხდა უჩემოდ... მაგრამ მართლაც რომ ვყოფილიყავი დამალვის მონაწილე, მაშინაც ვერ ჩავთვლიდი ჩემს თავს დამნაშავედ, ვინაიდან სამღვდელოება მოვალე იყო, ეზრუნა ეკლესიის ქონების დაცვისათვის და უხსოვარი დროიდან არეულობის და მტრების შემოსევის დროს მიმართავდნენ ამ საშუალებას“.

„თქვენი წინადადება (ლაპარაკია ეკლესიის კომკავშირისთვის გადაცემაზე) ჩვენთვის მიუღებელი იყო, ვინაითგან ამის მიღებით ჩვენ გავხდებოდით ღვთის დადგენილებისა და სარწმუნოების მოღალატენი, ეს არის და ეს“.

დაბოლოს: „როგორც ჩვენ წინაპრებს ტკბილად მიაჩნდათ სამშობლოსა და სარწმუნოებისთვის ტანჯვის მიღება, აგრეთვე ჩემთვისაც ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სასამართლო მშობლიური ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოღებისათვის. ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვრისა, რომელიც ჩემგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების თითქმის 37 წლის განმავლობაში.

ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამაღლებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში, – იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული. ამით ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს. როგორც მორწმუნე ვიტყვი – იყოს ნება ღვთისა! – და მოგმართავთ ქრისტეს სიტყვებით: „ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირთ ჩემზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქვენთა“ (ლუკ.23, 28)

არც ერთი ბრალდებული თავს დამნაშავედ არ სცნობს. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის განაჩენი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, მაგრამ მხცოვანი ასაკის გამო უსჯიან თავისუფლების აღკვეთას 8 წლამდე, სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით.

ციხეში ყოფნისას მის შვილებს რამდენჯერმე მიეცათ მამის მონახულების საშუალება. ისინი იგონებდნენ, რომ კათოლიკოსი ხვდებოდა მათ ყოველთვის მხნედ და მშვიდად, თითქოს არაფერი აწუხებდა. თუ რამდენად მძიმე იყო პატიმრობის პერიოდი, იქიდანაც ჩანს, რომ მას მოსთხოვეს, თავისი ნებით გადამდგარიყო პატრიარქობიდან, რაზედაც უარი თქვა. ამის შემდეგ მის ფიზიკურ უძლურებაზე ლაპარაკი, ალბათ, არ ღირს.

1924 წლის ბოლოს გამოცემული ამნისტიით კათოლიკოსს სასჯელს უხსნიან.

როგორც მისი შვილიშვილი, ქალბატონი ანა კლდიაშვილი მოგვითხრობს, ერთ დღეს ბებიამისს (კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსის ქალიშვილს) მეზობელმა ბიჭმა ამბავი მოუტანა, კათოლიკოსი მეტეხის ხიდზე გადმოდისო, ეს ამბავი ისე სწრაფად მოედო ქალაქს, რომ როცა კათოლიკოსი სიონში მივიდა, ტაძარი უკვე მრევლით სავსე დახვდა. შევიდა თუ არა სიონში, ხალხი მუხლებზე დაემხო. მაშინ აღმოხდა თურმე სიხარულით: „როგორც ჩანს, ქრისტიანობას ვერა ძალა ვერ გაანადგურებს“.

შემორჩენილია ქადაგებები, რომლებიც მან ციხიდან გამოსვლის შემდეგ წარმოთქვა. თავის პირველ ქადაგებაში ორი წლის განშორების შემდეგ მან მადლობა გადაუხადა მრევლს იმ თანაგრძნობისათვის, რასაც გრძნობდა მათგან ამ მძიმე პერიოდში და თქვა: „ეს იყო შედეგი არა ჩემი ღირსებისა, არამედ იმისა, რომ თქვენ გიყვართ დედა ეკლესია და აფასებთ იმ ხარისხს, რომლის სატარებლად აირჩიეთ ჩემი უღირსება.. რწმენის საქმეებში არ ემსგავსეთ ლერწამს, რომელიც მუდამ ქანაობს და გადაიხრება იქითკენ, საითკენაც ქრის ქარი, არამედ ხართ მტკიცენი და ურყევნი. ეს არის ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო“. მისი მამობრივი ზრუნვა მრევლზე განსაკუთრებული ძალით ჩანს ამავე ქადაგებაში. ის ამბობს, რომ სანამ თავის მოვალეობას შეუდგება, სურს გაეცნოს, რა მდგომარეობაა ჩვენს ეკლესიაში. ალბათ გაგიკვირდებათ, რადგან ისედაც

(გაგრძელება მე-10 გვ.)

წმიდა მღვდელმთავარი ამბროსი აღმსარებელი (ხელაია)

(დასაწყისი მე-8 გვ.)

ცნობილია, რომ ეკლესია-მონასტრები დაქცეულია და გაპარტახებული. მაგრამ, ეკლესიაში გულისხმობდა თვითონ მათ და მათ გულებს. როგორც შემდეგ ამბობს, ეს ეკლესია მას ახლა უფრო მშვენიერი ეჩვენა, ვიდრე მანამდე.

კათოლიკოსი ამბროსი გარდაიცვალა 1927 წლის 29 მარტს.

1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა წმიდა მღვდელმთავარ ამბროსი აღმსარებლის სახელით.

სულ რამდენიმე ნივთი გადარჩა წმიდა პატრიარქის ცხოვრებიდან (მისი სოხუმის სახლი ამ რამდენიმე წლის წინ დაიბომბა და დაინგრა); ესენია: ჭიქები, ციხეში ნაჩუქარი წიგნის საჭრელი დანა, რამდენიმე ფოტოსურათი. არის კიდევ სასამართლოზე წაკითხული საბოლოო სიტყვის ხელნაწერი, არაჩვეულებრივი ქადაგებები და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომები. მაგრამ არსებობს ყოველივე ამაზე ბევრად უფრო ძვირფასი. ეს არის სული ადამიანისა, რომელმაც დაიმკვიდრა ადგილი მასთან, ვისთანაც იყო ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც. ერთხელ უთქვამს: „მორწმუნე გული ყოველთვის გრძნობს ქრისტეს სიახლოვეს და მას ატარებს თავის არსებაში“. ერთი სიტყვით, არსებობს სული ღვთისმოყვარე პატრიარქისა – ახალი წმიდანისა წმიდანთა დასში.

მარინე ხოსიტაშვილი

გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №12 (166), 2002 წ.

ჩვენი მოძღვარი

(კითხვა-პასუხი სულიერი ცხოვრების შესახებ)

– რა პასუხი გავცე ადამიანს, რომელიც ჩემთან მოყვასს განიკითხავს?

– წმიდა იოანე კიბისაღმწერელი შეგვაგონებს: – „ნუ მოერიდები იმ ადამიანს, რომელიც შენთან ვინმეს განიკითხავს. უთხარი მას: დადუმდი, ძმაო, მე მუდამ უფრო მძიმე ცოდვებს ჩავდივარ და როგორ განვიკითხო იგი. ამით ორ სასარგებლო საქმეს გააკეთებ. შენს სულსაც არგებ და მოყვასსაც განკურნავ“.

– ესაჭიროება თუ არა ბერ-მონაზვნებს წიგნის კითხვა?

– წმიდა ანატოლი ოპტინელის რჩევით: – „თუკი მონაზონს სურს, რომ არა მხოლოდ სამოსით იყოს მონაზონი, არამედ ჭეშმარიტებითა და ცხოვრების წესით, მისთვის წიგნის კითხვა აუცილებელია. წიგნების გარეშე არათუ მონაზონი ვერ იქნები, არამედ ჭეშმარიტ წარმოდგენასაც კი ვერ შეიძენ იმის შესახებ, თუ რა არის მონაზვნობა“.

– როგორ დავაღწიოთ თავი მუდმივ გაღიზიანებას?

– წმიდა ეფრემ ასური გვმოძღვრავს. – „ცეცხლის საზრდო შეშაა, ხოლო გაღიზიანებისა – ქედმაღლობა. აღიჭურვე მოთმინებით. მოთმინება შესანიშნავი უფლისმიერი ძლევაა, იგი განაგდებს გაღიზიანებას, მრისხანებას და სიძულვილს, ხოლო სულს კი მშვიდობას ანიჭებს“.

– როგორ მოვიქცე, თუ უკეთური ცოლი შემხვდა?

– წმიდა იოანე ოქროპირი გვირჩევს: – „ როგორც სხეულის ასოს არ ვიჭრით, თუ რაიმე გვტკივა, არამედ თვით სნეულებას ვებრძვით, ასევე მოვექცეთ ცოლს. თუ რაიმე მწიკვლს შევნიშავთ, ნუ განვიშორებთ, არამედ ის მწიკვლი მოვსპოთ მასში. ცოლის სწავლებისა და ხელმძღვანელობისათვის კი მაინც დიდი ჯილდო გველის, თუნდაც მის ნაკლს ვერ ვუშველოთ. ამ ჯილდოს მივიღებთ მოთმინებისათვის, რომ მშვიდად ვითმენდეთ ცოლის უკეთურებას და სხეულის ასოებივით ვუფრთხილდებოდით მას“.

– როგორ მოვიქცე, როცა არ ძალმიძს შეურაცხყოფის ატანა?

– წმიდა ეფრემ ასური გვმოძღვრავს: – „ვერ ითმენ შეურაცხყოფას? დადუმდი და დამშვიდდები“.

– რას გვასწავლიან წმ. მამები სიყვარულის შესახებ?

– წმიდა იოანე კიბისაღმწერელის სწავლებით: „სიყვარული თავად ღმერთია. სიყვარული ბუნებით ღმერთს მიმსგავსებაა, რამდენადაც მისაწვდომი და შესაძლებელია კაცთათვის, ხოლო საქმით სულის დამატკბობელია. სახით სარწმუნოების წყაროა, სულგრძელების უფსკრულია და სიმდაბლის ზღვაა. ჭეშმარიტი სიყვარული განძარცვაა ბოროტ გულისთქმათაგან, რადგან სიყვარული ბოროტს არ მოიხსენებს“.

– როგორ მოვიქცე, როდესაც ვხედავ, რომ სიყვარული არ გამაჩნია?

– წმიდა ამბროსი ოპტინელი გვირჩევს: – „თუკი ხედავ, რომ შენში არ არის სიყვარული, მაგრამ გსურს, რომ გაგაჩნდეს იგი, მაშინ დაიწყე სიყვარულის საქმეების აღსრულება, თავიდან თუნდაც სიყვარულის გარეშე. უფალი დაინახავს შენს სურვილსა და მცდელობას და გულში სიყვარულს ჩაგიდებს“.

– რომელია ყველაზე უკეთესი ხელისუფლება?

– წმიდა სერაფიმე საროველი ბრძანებს: – „ღვთის თვალში არაა იმაზე უკეთესი ხელისუფლება, ვიდრე ხელისუფლება მართლმადიდებელი მეფისა“.

– რას გვასწავლიან წმ. მამები თვითნებობის შესახებ?

– ამ საკითხთან დაკავშირებით აბბა დოროთეს მოვუსმინოთ: – „კარგია ჩვენთვის, ძმებო, თუ გავექცევით ჩვენი ნების აღსრულებას, რადგან იგი ზღუდეა ჩვენსა და ღმერთს შორის. ვინც თავის ნებას კი არ აღასრულებს, არამედ მოძღვრისას, ასეთი მუდამ ღვთის ნების აღმასრულებელია“.

– რა ელით მოყვასის განმკითხველებს?

– წმიდა იოანე კიბისაღმწერელის სწავლებით: – „რა საქმეზეც განვიკითხავთ და დავადანაშაულებთ მოყვასს, იმავე ცოდვაში ჩავვარდებით, გინდ ხორციელი იყოს ეს ცოდვა, გინდ სულიერი“.

– სასარგებლოა თუ არა საკუთარი უძლურების შეცნობა?

– წმიდა ისააკ ასური გვმოძღვრავს: – „ნეტარ არს კაცი, რომელი შეიცნობს თავის უძლურებას, რამეთუ ამის ცოდნა საწინდარი ხდება კეთილწარმატებისა“.

თბილისის სასულიერო
აკადემიისა და სემინარიის
ლიტურგიკის პედაგოგი
დეკანოზი ბიძინა (გუნია)

ხსოვნა

მოვიდა გაზაფხული, მაგრამ დიდი სევდა მოუტანა ქართულ საზოგადოებას. წავიდა ამქვეყნიდან ორი უმშვენიერესი ქალბატონი, ორი დიდებული ხელოვანი, ორი ბურჯი ქართული კულტურისა _ სოფიკო ჭიაურელი და ანა კალანდაძე. განუზომელია ტკივილი. მათ მარადიული ადგილი დაიმკვიდრეს მშობელი ხალხის გულებში. მათი დიდი ნიჭიერებითა და სიყვარულით გაჯერებული შემოქმედება სცენიდან თუ წიგნის ფურცლებიდან მილიონებს სწვდებოდა, ცხოვრების გზას უნათებდა, იმედითა და სიხარულით ავსებდა.

მსუბუქი იყოს მათთვის ქართული მიწა!

მშვენიერება, რომელსაც სოფიკო ერქვა

სულიერებისა და კულტურის ცენტრის პრეზენტაციაზე

ქალბატონ სოფიკო ჭიაურელის პირველი ნაბიჯები ჯერ კინოში და მერე მარჯანიშვილის თეატრში ჩემი სტუდენტობის წლებს დაემთხვა. უცებ შეიყვარა იგი მაყურებელმა და უმალ ამოიცნო მასში ის დიდი ტალანტი, რომელიც ასე ანათებდა მთელ მის შემოქმედებით გზას. ერმაც ამიტომ აღიარა და შეიყვარა. ყველა სიკეთესთან ერთად დიდი ბუნების ადამიანი იყო, თავისი მრავალრიცხოვანი მაყურებლისათვის თავისი გულის სითბოს არ იშურებდა.

მახსოვს, 2007 წლის ოქტომბერში აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის პრეზენტაციაზე მოვუსმინე. ამაღელვებელი სიტყვით გამოვიდა. მან ცენტრს მოღვაწეობის დაწყება მიულოცა და სიყვარულით გაიხსენა აფხაზეთი, ის მეგობრობა, რაც აფხაზ კოლეგებთან აკავშირებდა. გამოთქვა რწმენა, რომ მტრობით დანგრეულს მხოლოდ სიყვარული აღადგენს.

საკუთარი ქვეყნის დიდი პატრიოტის, ქალბატონ სოფიკოს გულისხმიერების მოწილადე პირადად მეც გავხდი. ორიოდე წლის წინ ვერიკოს თეატრში ახალგაზრდა ნიჭიერი სოხუმელი დრამატურგის ოთარ პირტახიას პიესა დაიდგა „მაგნოლიები ამბებს ყვებიან“. (რეჟისორი გიორგი სიხარულიძე). მე დევნილი სოხუმელი მოხუცი მხატვრის როლს ვასახიერებდი, რომელიც თავის პატარა შვილიშვილს, რომელსაც სოხუმი არ ენახა, უყვებოდა ამბებს მშობლიური ქალაქის შესახებ. მახსოვს, რა საოცარი გულისხმიერება გამოიჩინა ქალბატონმა სოფიკომ, როგორ დაგვტრიალებდა თავს და ხელს გვიწყობდა, რომ სპექტაკლი კარგი გამოსულიყო. პრემიერას დიდებული საზოგადოება დაესწრო. სპექტაკლამდე ქალბატონმა სოფიკომ სიტყვით მიმართა მაყურებელს. მისეული ემოციით, თვალზე მოკიაფე ცრემლებით ყვებოდა თავის სიყვარულს აფხაზეთისადმი, დატრიალებულ ტრაგედიაზე. ბოლოს დაამთავრა ნატვრით, რომ ერთად დავბრუნებულიყავით სოხუმში. მაგრამ ვაი, რომ ამას ვეღარ მოესწრო...

ნეტავ, მალე ახდებოდეს ქალბატონ სოფიკოს ეს ნატვრა. ზეიმის დროს მისი ნათელი სულიც ჩვენთან იქნება. ამინ!

გიორგი რატიანი
საქართველოს სახალხო
არტისტი,
თეატრ „თეთრი ტალღას“
სამხატვრო ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70